განკარგულება:**გ-37. 3725303001**
თარიღი:**30/10/2025**

განკარგულება N45

30 ოქტომბერი 2025 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 44-ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ახლადარჩეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა შექმნის შესახებ წინადადებების (დასკვნების) განხილვისა და მომზადების, ასევე საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის მიზნით, არჩეულ იქნას დროებითი სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე: ლევან კილაძე;

2. მდივანი: გოჩა მდინარაძე;

3. კომისიის წევრი: ვლადიმერ ხავთასი.

მუხლი 2. დროებითი სამანდატო კომისია უფლებამოსილია მუდმივმოქმედი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის არჩევამდე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2025 წლის 30 ოქტომბრიდან.

ნუგზარ ურუშაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
თავმჯდომარე (უხუცესი წევრი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი